



თეატრი

საუოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

6 ივლისი ვ ა მ რ ი ს ე მ ა № 27 კ ვ ი რ ა ო ბ ი თ 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა ან მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური, ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭავჭავაძის წიგნის მაღაზრიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

რედაქცია სთხოვს იმ ხელის მომწერთა, რომელთაც აღმოდინინ არ შემოუბრუნიათ სხვადასხვა ფული დაუბრუნონ და შემოიბრუნონ 1 ივლისამდე, თორემ პირველის ივლისის შემდეგ გაზეთის გაზგაზნა მომსახურებათ.





ცხოვრების თეატრი.

ბევრი რამ მოხდა ამ ორს კვირაზედ ცხოვრების თეატრის სცენაზედ. უწესობა და წესიერება, სიმართლის გამჟღავნება და გაბერილი, გასივებული თავ-მოყვარება, აღხანა და ჩაღხანა და ბევრი სხვა ფეროვანი, სხვა სახოვანი აბდა-უბდაობა და ასკინკილობა ერთად აირივნენ, ერთად აწიწმატდნენ ამ ჩვენს დაუღალავ და ჟინიან ცხოვრების თეატრზედ. მაგალითად, რა იყო ის ყოველად შეუფერებელი და შეუწყნარებელი პოლემიკა ბ-ნ შიფიანისა და „ივერიის“ რედაქტორის შორის? ჩვენ ვამბობთ არა ჩვეულებრივ და შეუფერებელ პოლემიკას იმად, რომ კილო, მანერა და მრავალი სხვა ხერხები და საშუალებანი ხსენებულის პოლე-

მიკისა არ ეთახმებოდნენ არც ბ. შიფიანის და არც ბ. „ივერიის“ რედაქტორის მდგომარეობას, მათს ღირსებას, მათს ღირსებას... რაღა უნდა ესთქვათ ჩვენ, ან რას უნდა მოელოდეს კაცი ჩვენგან თუ ორი უწარჩინებულესი პირნი ჩვენი პაწია ქვეყნისა იმდენად სჭარბობენ და სცილდებიან საანბანო წესებს ლიტერატურისას, რომ საპოლემიკო საგნად გაიხადეს არა ის საგანი, რომელზედაც პოლემიკა უნდა ყოფილიყო, ესე იგი ბანკის წესდება და მისი ავ-კარგიანობა, არამედ თავიანთი ჰიზოგნული მეტნაჯლებობა, ნიჭი, ჭკუა, ზატიოსნება, ზრდილობა და კიდევ ბევრი რამ ისეთი, რაზედაც ყოველგვარი სჯა და სმენა სათაკილოა იმათთვის, სამწუხაროა ჩვენთვის და სასაცილო მტერთათვის.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ ორთა მოკამათეთა შორის გათავდებოდა „მანერიანი პოლემიკა“, მაგრამ ცხოვრების თეატრის ჰირვეულობამ მესამე პირიც აიყოლია,—ეს პირი აკაკია. ამ პატივცემულს და წარჩინებულს პოეტს პოლემიკის ჟინი აღძვრია და ისეთს უმართლო რეზონირობას მოპოვოლია, როგორც მაგალითად: „ბ. ჭავჭავაძეს ცალმთავი მოლაყბე ჰეტორიტეტი, გუდა-ჭეშმარიტება, სიდედეკები, ვამაგირზედ ზრუნვა“ და სხვა. ყველა





საბჭოთაო

ეს სამწუხაროა, სამწუხაროა მით უფრო, რომ მაგას სხადიან უკეთესნი წარმომადგენელნი ჩვენი მოწინავე დასისა, რომლებსადმი რწმენა ჩვენთვის საჭიროა, რომ სულ არ ავირიე-დავირიოთ... მაგრამ რასა იქ! ესეც ცხოვრების თეატრი, ესეც მაზედ მომქმედნი პირნი—გაზვიადებული რეზონიორები!

ამას წინედ „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო კორრესპონდენცია ბათუმიდამ, სადაც ავტორი აშკარაგებდა ზოგი-ერთი დამოქნის მოხელეთა სიმრუდეს და გადაჭარბებულ მოქმედებას შესახებ იქაურ მცხოვრებთა და მგზავრებთა. კორრესპონდენცია, როგორც ეტყობა, არ მოსწონებია დამოქნის მმართველს და ისეთი რიხიანი წერილი გაუგზავნია „ივერიის“ რედაქციისათვის, რომლით თითქმის ლალატსა სწამებდა მთელს პრესას და ბოლოს ასეთი გულ-შემატკივრობა და დარიგება გამოიჩინა რედაქციის მიმართ: „ეს ამბავი (ესე იგი კორრესპონდენციის დაბეჭდვა) საოცარია და სამწუხარო, მით უფრო რომ ერთად ერთ ქართულს გაზეთს მაგ ნაირი ცნობების დაბეჭდვით ეკარგება თავისი ღირსება და მნიშვნელობა მკითხველების თვალშიო“. ნათქვამია ძალა აღმართს ხნავსო და ამიტომ ბრალდებული გაზეთი იძულებულ იქმნა გაჩუმებულ-იყო. მაგრამ გაიარა რამდენიმე დღემ და აი რასა ეკითხულობთ „Правительст. Вѣстник“-ში „სოფელქნი ვაღდებულნი არიან ბათუმი თუ საქონელი იუიდეკს, ვაღაისადონ ბაუი და ისიც რაქონსა და კერძნდის ფუფითო, სშირად უნდა დამტკიცონ რომ ის ტანისამოსიც კი, რომელიც ტანზედ აცვიათ სდაურია და სდა არის ნაყიდიო. ამის გამო შუდლი და უსიამოვნება სდებო. დედაკაცებიც კი არ არიან შეწყყნარბულნი და უნდა გასინჯულ იქმნენ სოღმე სსაყოს მთავრობის მიერო. ქალების გასინჯვა და სელის სლეპა მუსუღმანებს მიაჩნიათ დიდ შეურაცხყოფადო“ და სხვა. ნეტა ვიცოდეთ, რას იტყვის ეხლა ბ-ნი დამოქნის მმართველი გამოვსარჩლება კიდევ თავის ხელ-ქვეით მოხელეებს? ვითომ „ერთად ერთი ქართული გაზეთი მაგ ნაირი ცნობების დაბეჭდვით დაჰკარგავს ღირსებას და მნიშვნელობას“? ან კიდევ მხარს დაუჭერს და წაესარჩლება იმ შემავიწროებელ მდგომარეობას, რომელმაც გამოიწვია უმაღლესი მთავრობის განკარგულება ხსენებულ შევიწროებათა გაუქმებაზედ? ეხლაც ბრალს დაადებს ერთადერთს „ქართულ გაზეთს“?? აი რეზონიორობა თუ გვებათ სწორედ ეს გახლავთ, დიან!

მსენი ხომ რეზონიორებია და იყენენ კიდევ

იმათა, მაგრამ რა სახელი ეწოდებად იმათ, რომლებმაც წარსულის თვის 22-ს დ. სურამში ერთი უკაცური და შემადრწმუნებელი საქციელი ჩაიდინეს (იხილე „ივერია“ № 139.) მილაც ზ,— ტ,— და გ.—მოუტაცნიათ სურამელი ქალი, მოსამსახურე გოგო და რიგ-რიგად, ზედი-ზედ საპი დლე და ღამე უწვალებათ, სად არ წაუყენიათ, სად არ უთრევიათ, რა მუქარა და ზომები არ უხმარნიათ თავიანთ მხეცურის ვნებათა დასატკობლად. შეუჩვეველ მკითხველს გული სისხლით ემსება, ჯავრები არჩობენ, როდესაც ჰკითხულობს გაზეთში მაგისთანა სამარცხენო ამბებს. შეჩვეული კი... მაგრამ ღირს-ლა ლაპარაკი! ესეთი მახინჯი მოვლენა ცხოვრების თეატრზედ ფრიალ საგულისხმოა.—ის ნიადაგი, ის ჰაერი, სადაც მაგისთანა უკაცურ საქციელს ალაგი აქვს, იქ, ვგონებ, ხეირი არ უნდა სუფევდეს... თუ დღეს გოგო მოიტაცეს და აწვალეს, ხვალ ქაღალატონს მოიტაცებენ, ზევ კიდევ ჩვენ დედას, დას, შვილს...

ბაირყენა არე-მარე, ზნეობრივი კაცობა დაიფლა... ერთი-ლა წამალი დაედება მაგ სენს—ეგ არის სწავლა, განათლება სულიერი და ხორციელი, მეცნიერება, განათება, განსპეტაკება შავ-ბნელ გულის, სულის და ტვინის კუნჭულებთა, სადაც მაგისთანა უკაცური, ყოვლად სასიარცხელიო, ადამიანობის დამამცირებელი საქციელი იბადებია, იზრდებია და ბოლოს ნაყოფიც მოაქვთ. დიან, განათლება საჭირო, თორემ ვერაფერი გამოძიება, ვერაფერი სუდი და პალატა ვერ აღმოფხვრის ძირეულად იმას, არამედ უფრო წააქეზებს, უფრო გააზვიადებს!...

რეზონიორი

ლექსები პროზით

შენი უსამსო, გჭმნობას მოკლეხული, ტიტინი, შენი თვალები, ყოველი შენი ქვევა აშკარად მეუბნებია, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა განვშორდეთ, რადგან ის ბუდნიერება, რომელმაც ჩვენ ერთს დროს შეკვარება, დღეს შენგანვე დასშული არის.

* * *

მხელა ჩვენს დროს ცხოვრება: ცხოვრება გა-
იჭყნა, — ფუჭია სიცოცხლე. სად არის კაცობრივი კა-
ცობა? სად არის ურთი-ერთობა? სულ-ყოველივე წაღ-
კილია!.. აბა სად არის საქმის კაცი? აბა, სად არის
ჭირის ამტანი, თავ-გამწიარავი? — ანსიდ სხანს!

* * *

ბევრნი ჩვენგანი თავ-გადგლეჯით ღსინს, დროს
გატარებენ ვეძებთ, — ვზრუნობთ მათ და ვპატივით
კიდრ. ფული გავაღმერთოდ, მას ვანაცვალეთ ყოვე-
ლივე.

* * *

რაც კი ოდნად მანც თითის განძრევას, წელის
გამართვას თხოვლობს ჩვენგან გვაშინებს, გვაფრ-
თხობს; სიბეჯითე, შრომა და მეცადინეობა გვაოცებს...

* * *

ბოლოს... რაი ბოლოს? უკმაყოფილება! უკმა-
ყოფილება თვის თავისადმი, უკმაყოფილება ყველა
გარს მოსვეულ კაცთა და საგნებისადმი. სიზარმაცეს
მიხვეული, ჩვენ გვეკარება შრომის ხალისი, გვეტლება
გამანცოველებელა იმედი, გული თვის ჩვეულებრივს
სიზვიაღეს და ღმობიერებას ჰგარგავს, სული სიმაღლეს
და სისპეტაკეს, გონება სისწორეს და მართლ-მსჯე-
ლობას....

* * *

კაცის ბუნება ასეა: გულ-კეთილობა და სულ-
მხნეობა მუდამ ყოფილა და იქმნების კიდრ გონების
ამხანაგი, მისი თანაშემწე ყოველს საქმეში, თორემ თუ
მათ შორის უთანხმოება ჩამოკარდა, მაშინ ჩვენ...

* * *

დაის, უშნოდ და უგემურად მიჯაგვარებს ზოგი-
ერთის სიცოცხლე. სიმათლე და მართლ-მსჯელობა არ
ეთანხმება ცხოვრების წესსა და ამიტომ ცხოვრების
მოთხოვნილება იდვალს ვამჯობინეთ, გუჭი—გონებას,
საყაღბე—პატიოსნებას, გარყვნილობა—სწეობას, სუ-
ლი ეგ ერთად ერთი სპეტაკი საუნჯე ადამიანისა,
მხოლოდ იმას-ღა ითხოვს და ცდილობს, რომ ღაფუფს
შესაფერი სიამოვნება მიიღოს სოღმე...

* * *

ბევრმა ნიანდაგი და სწეობრივი ძაფი და-
კარგეთ, მოყვასთ მოყვრობა დაგვაწიწდა, ცოდვილო,
შევიწროებულთ შებრადება მეტ ტვირთად შეგვექნა....
არაფერი ღირს შესამხნევი, არაფერი საზოგადოებრივი
არ ამუშავებს ჩვენს მეცადინეობას, არავითარი მოვალე-
ობა ვალად არ გვაძებს... „ოღონდ მე ვიყო და თუნდაც
ქვა ქვანედ არ დარჩესო!“ აი, ჩვენი ლტოლვილების
საწყაო...

დედის პირმშო.

ს ა ს ც ე ნ ო ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა


ლიბსია

(გაგრძელება)



სიზრდა აკტიორი ზ მავიერს ს სმარობს; ამ
ასრების არევა როგორც სიტუვას, აგრეთვე
აზრსაც აფუჭებს და აკტიორის ღაზარავი სტუენასა მი-
გავს სოღმე; ზოგს კი ს სმარება სულ არ შეუძლიან
მაგალითად ჩვენი მდაბიო ხალხი ღაზარავობს ასე: კა-
ტანტილე, პრინტიავი, ჰტავანი როტომა ქრისტე და
სხვა. ამის გასწორება ძალიან ადვილია. ამ ორ ასოს
ზ და ს წარმოთქმის დროს ენის წვერი უთუოთ ზე-
ვითი წინა გბილებს მიეჭინება და მაშინ ს და ზ გა-
მოტკეპვით ისმის, პირ-იქით, როდესაც ენის წვერი
სხვა-და-სხვა მიწეუების გამო, გბილების გარედ გამო-
ღის სოღმე, მაშინ ეგ ორი ასო სრულიად იკარგე-
ბა: ესღა როგორც ვსედავთ მიწეუი უბრადო ყო-
ფილა და მის აცდენაც უბრადო საშვალობით შეიძლე-
ბა. აკტიორმა უნდა სშირად ავარჯიშოს თავის ენა ამ
ორის ასოს წარმოთქმით, ისე რომ ენის წვერი გბი-
ლების გარედ არ სცილდებოდეს და მაშინ დარწმუნე-
ბით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეგ ნაკლეუვანება უთუოთ
გასწორებული იქნება.

საზოგადოთ თუ აკტიორს რომელიმე ასოს წარ-
მოთქმა უჭირდება—გავარჯიშებას შეუდგეს, სხვერ, ათას
ჯერ წარმოთქვას მხელი ასო, სანამ სწორს გამოთქმას
არ დაეხვევა. ურიგო არ არის აგრეთვე მთელი ანა-ბანა-
სი თვითო ასობით გამოთქმა და დასშირებული გამო-



რება—ეგ ადვილი მოსხდენია და იმავე დროს სსსარგებლოც. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აკტიონისათვის სიტყვების მარცვლებით გამოთქმას (ЧЛЕНО РАЗДѢЛЬНО), რომ ამ საშუალებით თან-და-თან შეეზიოს ძველი სიტყვების მეფიოდ გამოთქმას.

გარდა სხენებულის საშუალებათა ძრვიელ კარგია აგრეთვე ენის ვარჯიშობა ანუ გემნასტიკა. —დაიდგოთ წინ სარკე და გამოყავით ენა, ეცადეთ წაეცი შეგიძლიანთ ძალიან გრძლათ გამოყოთ. შემდეგ მიაბრუნეთ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, —ბოლოს ასწიედ ზევით, მერე ქვევით, —ერთი სიტყვით იქამდინ გრესედ და აწვალეთ ენა, სანამ არ დაიღლოთ—ამ ოპერაციის შემდეგ დაიწყოთ ძნელი მარცვლების (ЧЛЕНЫ) წარმოთქმა. აქ ჩვენ არ ვასახელებთ ძნელი მარცვლებს და არც შეიძლება მათი დასახელება, რადგან ყოველს აკტიონს თავისებურად ემსებება ასო და თავის ნაკლებსება აქვს, რომელიც თითონაც კარგათ იცის, (ხოლო უმთავრესი და საზოგადოდ ძნელი ასოებსედ ჩვენ კიდევ ვსთქვით ამის წინეთ.) საზოგადოთ ყოველი ნაკლებსება ადვილი შესასწორებელია შრომით და დაბეჯითებით.

ჩვენი საყოველღეო ლაზარაკში სშირად გავიგებთ ხოლმე ასეთი სიტყვებს. „რა ტუბილათ ლაზარაკობს, რა ტუბილი ხმა აქვსო“ აქ სიტყვა ტუბილი იმიტომ არის ნახმარი, რომ ნიშნავს სასიამოვნოს, რომელიც ნება-უნებელიედ გულსა სვდება, მიდის სულის საძირკველამდინ და იქიდან თანაგრძნობას გვიღვიძებს და გვიწვევს ხოლმე. გარდა ამისა ეგ «ტუბილი ლაზარაკია ადვილი გასაგებობა და ყველა ეს „ლაზარაკს ტუბილად“ ხდის. ასეთი ტუბილს და გასაგებს ლაზარაკის მოხერხებას ქვეყანა აკცენტუაცია და ინტონაცია.—

აკცენტუაცია შეესება გამოთქმის გამორკვეულობას, მის გაუმჯობესობას, სიტყვით, ენის ტენსივას, —ვიღოს გასწორებას.

აკცენტუაცია გვასწავლის სიტყვის ისეთს სწორს გამოთქმას—რომელიც მიღებულია ლიტერატურაში და მწერლობაში; ყველამ კარგათ იცის, რომ იმერლის და ქართულის ლაზარაკი ძრვიელ განსხვავდებიან კილოთ ანუ აკცენტით. სწორი აკცენტით ან ლიტერატურული კილოთ გამოთქმას უნდა უმჯობესად დაეხიოს აკტიონი, რომ მის სიტყვებს სისუფოთ და ხელფუნური სიმშენიერე კრებობადეს. ამის დახვევა ადვილია. თუ თვითონ კარგათ არ იცით ქართული ენა, უნდა სთხოვოთ კარგათ მცოდნეს, რომ წიგნიკითხოსთ უკეთესი ადგილები ჩვენს მწერლობაში — ლექსები ან მოთხრობები. ეცადეთ უფრო კარგათ დაუდგოთ; მერე წაკითხული

თქვენვე წაუკითხეთ ხმა მაღლა და თუ შეგძინათ შეცდომები, სთხოვეთ, რომ გაგისწოროს. ასეთი რეპტირება ათჯერ რომ მოახდინოთ, მეტემეტეჯერ, დაწმუნებული იყავით, თქვენ დასელოვებით შეგიძლიანთ სხვებსაც გაუსწოროთ და ასწავლოთ კიდევ სწორი აკცენტურციით ვითხვა და ლაზარაკი.

აკტიონს ხშირად ისეთის როლუბას თამაშობა მოუხდება ხოლმე, სადაც ხმას უმთავრესი ადვილი უჭირავს; მაგალთად: ჩვილ კაცის როლი, უძღურის, ან ცნობების ტვირთ ქვეშ მოხსენილი კაცის როლი სრულებით სსკა ნაირს ხმას თხოულობს.—რა თქმა უნდა მაგისტანსა როლებსათვის აკტიონმა უნდა მოსძებნოს ასეთი ტონები, რომელნიც როლის, ან ტიპის, ან სასიათს უხდებოდეს; ეთანსმებოდეს მდგომარეობას, წლავანობას, წოდებას და ვითარებას—ეს ძნელი საქმეა, მაგრამ აკტიონი აქაც იმავის გასაგებს გზას, თუ ჯეროვანის დაბეჯითებით და გულ-მოდგენით შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას.

როგორც წინეთ ვსთქვით აკტიონის ხმაზედ დამოკიდებულია როლის ან ხელფუნურად შესრულება, ან სრულიად გაფუჭება; მეტადრე მაშინ, თუ როლი აკტიონისაგან თხოულობს ხმის სიუსხვეს. ეგ ხმის სიუსხვე და სიმიდრე აკტიონს უხდება, იმ როლებში, სადაც საჭიროა ათას ნაირი გრძნობების გამოხატვა, ხმაში სან ტირილი, ხან წყენა, ხან სისარული უნდა მოხსილდეს. ასეთი სხვა-და-სხვა გვარ გრძნობათა სმით გადაცემას და მის საშუალებას ქვეყანა ტემბრი, ესე იგი გრძნობათა ისეთი გამოხატვა (оттѣненіе) რომელიც აშკარად უნდა გვიჩვენებდეს სასიათის, ან ტიპის სულიერი მდგომარეობის.

ტემბრთან უთუოთ საჭიროა მოდულიაცია—ესე იგი ერთი ტონიდან მეორე ტონზედ შეუმხენველი, ზოგიერთი გადასვლა.—სშირად ასე მოხდება, რომ როლის აღსრულების დროს აკტიონმა ბევრი სხვა-და-სხვა გრძნობები უნდა დაგვისატოს; გრძნობანი და მდგომარეობანი ყველა თვითოულად იქნება კარგათაც იქმნენ წარმოდგენილნი, მაგრამ ამით საქმე როდი თავდება—უთუოდ საჭიროა, რომ აკტიონმა ერთი ხმიდან მეორე ხმაზედ ისე ხელფუნურად გადავიდეს, რომ არამც თუ მაურუებლებმა, არამედ თვითონაც არ შეამჩნიოს გადასვლა ერთი ხმიდან მეორეზედ, ანუ ტონების ზომიერი მიმდინარეობა, ესე იგი მოდულიაცია.

თუ აკტიონი სწორის აკცენტურციით, ტემბრით და მოდულიაციით ლაზარაკობს—ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი დასელოვებულია დიკციაში.—შესაძლებელია, აკტიონმა ყველა შემოსხენებული დიკ-



რის შიშობანი იცოდეს, მაგრამ მაინც ვერ მოახდინოს ჯეროვანი შთაბეჭდილება. სცენაზედ ღაზარაგი მეტად მხელი და რთულია. შეიძლება ავტიორის ღაზარაგი, გამოთქმა ტენიკის მსრით ვარგიც იყოს, მაგრამ, ვიძეობთ, მარტო ეგ არ კმარა. საჭიროა ავრეთვე ავტიორმა თავის ღაზარაგს სული შთაბეროს, სითბო მისცეს, გრძნობა და აზრი შთაანერგოს, რომ ცხოველის გამოთქმით თამაშობის დროს მოგვეცეს სრული ილიუზია, ესტეტიური დაკმაყოფილება. ყველამ კარგათ იცის, რომ ერთი და იგივე წინადადება შეიძლება სრულეობით სხვა-და-სხვა ნაირად წარმოითქვას. ზოგს ისე შეუძლიან ღვთის წყალობა გითხრას, რომ იქნება ამ წყალობისათვის კარგი სილაც უთავაზო. რა მიზეზია? მიზეზი ის არის, რომ ყოველი სიტყვა კერძოთ და ყოველი წინადადება საზოგადოთ შეიძლება ითქვას სხვა-და-სხვა ტონებით, სხვა-და-სხვა ხმით, სხვა-და-სხვა გრძნობებით. ხმა იმიტომ არის ყველა მუსიკალური იარაღებსედე უმჯობესი, რომ რაც გინდა და რაც გსურს ის შეგიძლიან ამ ბუნებრივ მუსიკის საშუალებით გადასცე და გაუზიარო შესს მსმენელს.

ხერხს, ზითაც ავტიორი სიტყვებს აცხოველებს, აზრს აფრთოვანებს და გრძნობებით იწვევს ჩვენს თანაგრძნობას და უგრადლებას—იმ ხერხს, იმ საშუალებას ჰქვია ინტონაცია. სრულეობით მცირე და უბრალო ხმის აწევასედე ან დაწევასედე დამოკიდებულია ეფექტის მოხდენა წარმოდგენის დროს, განსაკუთრებით პატეტიური ადგილებში—ავტიორის ნება ყოფილობაშია ერთს რომელიმე სიტყვას ან წინადადებას მეტი უგრადლება მიაქციოს ან მალე წარმოისთქვას, ან კი სულ ჩუმად, ან არა ხმა მადლა, ან ყველა ერთად შესაა-შესუბით.

საზოგადოთ დიკცია და კერძოთ ინტონაცია უფრო მეტს დაკვირვებას და ცოდნას თხოვლობს მოთამაშესაგან ვიდრე რომელიმე ოპერის არის მღერა, ერთს მცირე მარცვალს, რომელსედეც ავტიორი ან გახერდება, ან მალე წარმოისთქვამს, შეუძლიან სრულეობით გააფუჭოს მთელი წინადადება,—შირ იქით, თუ ისეც ის მარცვალი ან სიტყვა სხვა დროს ჯეროვანის და მართლის ინტონაციით წარმოითქმის, მაშინ სულ სხვა სანათს და მნიშვნელობას მისცემს, გააცხოველებს და გააზროვანებს სიტყვას, წინადადებას და როლის სანათსაც.—

კარგი ტემბრის და მოდულიციის შექმნა შეიძლება სშირი სიმღერით.—საზოგადოთ სიმღერა ავტიორმა ცოტად მაინც უთოთ უნდა იცოდეს; ჯერ ერთი, უერთს სმენის განავარჯიშებლათ საჭიროა, რად-

გან სმენას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ავტიორს სელოვენებაში; მეორედ, სიმღერა ხმას ასოფოთავებს და ანაზებს, აძლევეს ძალას, სიწმინდეს და ტემბრი და მოდულიციას სომ განსაკუთრებით სიმღერით კოთდება. ურიგო არ იქნება, რომ ავტიორმა სიტყვები და სანდისხან მთელი მონოლოგებიც მღერით ისწავლოს. ამ საშუალებით სანანირი სარგებლობას მიაღწევს: როლის და მხელი მონოლოგების მტკიცეთ შესწავლას, გამორკვევით გამოთქმას ტემბრის და მოდულიციის გაუმჯობესობას.

საქმეს უფრო ამხელეს ინტონაცია; აქ ავტიორს თოითონ საკუთარი ნიჭი და ზედმიწევნა უნდა ეუბნებოდეს: რა ადგილი, რანაირის ინტონაციით სთქვას. საზოგადოთ კი როგორც სიმღერა, ავრეთვე სშირი გამეორება სხვა-და-სხვა ტონით ერთი და იგივე წინადადებათა ინტონაციას მალიან შევლის. ეგ სშირი გამეორება აუცილებელია სწორის ტონის მიხვევისათვის; გარდა ამისა ძრიელ კარგია, რომ უცხო შირს წაკითხინოთ თქვენი როლი, კარგათ ყური დაუგდოთ და დააკვირდეთ მკითხველის ინტონაციას. თქვენს უფლებშია სწორის ტონების დანაკუთრება და ყაღბების უარყოფა. მეტე მეორეს, მესამეს და მეოთხესაც სთხოვეთ წაკითხვა, სანამ თქვენ ყოველის მსრით არ გაიგებთ როლის შესაფერს ინტონაციებს.—ეგ უგანასკნელი რჩევა ფრინად საჭირო და სასარგებლოა, არამც თუ მარტო დიკციის განსწორებლათ, არამედ როლის შეგნებისათვის და სელოვნური თამაშობისათვისაც.

დეკლამაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს ავრეთვე ნიშნებს (Знаки препинания) საზოგადოთ ყოველს ლიტერატურულ ნაწარმოებში ნიშნებს არა მეორე ადგილი უჭირავთ და ავტიორს სომ მომეტებული დაკვირება ჰქმარებთ ნიშნების ხმარებასედე, რადგან უპილოთ ვითხვა და ღაზარაგი, სწორი, სელოვნური დეკლამაცია ყოველათ შეიძლება. მძიმეს, წერტილს, ვითხოვითი და გაკვირებითი ნიშნებს ყოველს თოითოულად თავისი დანიშნულება და სანათი აქვს. ლიტერატურულ ნაწარმოებში და წერა ვითხვაში ნიშნების დანძა და ხმარება დრამატოთ შეისწავლება სოლმი, მაგრამ ავტიორს საქმე ცოტად უჭირდება, რადგან შემოსსენებული ნიშნები ავტიორმა ხმით ისე უნდა გვიჩვენოს, თითქოს მყოფებული თვალთ ხედავსო, რომ ამ და ამ ადგილას ეს და ეს ნიშანი ზის. რა თქმა უნდა, რომ ეგ ადგილი არ არის და მაგში დანსელოვნება ავტიორს შეუძლიან მხოლოდ პრაკტიოთ.—საჭიროა უკეთესი დრამატოული და პოეტური ნაწარმოებთა სშირი ვითხვა, შესაფერი უგრადლების მიქცევა ნიშნებსედე და



ამასთან ყველა ნიშნების ხმით გამოხატვა, — ესე იგი დროზედ შედგომა, შეხერხება, ხან განსკვირება და სხვა.

ჩვენ შეგვეძლოს ამ მოკლე აღწერით გაგვეთავაზონა წერილი დიკციაზედ, მაგრამ კიდევ დაგვრჩა ერთი საგანი, რომელიც ჩვენის აზრით ძრეულ საჭიროა. — ეგ არის რითმი.

რითმი ღაზარაკში ან დეკლამაციაში არ ნიშნავს მუსიკალურ რითმს, ან განზომიერებას (ТАКТЪ) და აი რატომ: თუ აქტიური რომელიმე წინადადებას ან რაღაც წარმოსთქვამს მშვენიერის ინტონაციით, სწორის მოდულირებით, ვეროვანის აცტენტუაციით, რბილი ტემპით — ერთი სიტყვით ფორელივე დეკლამაციის წესებს დაიცავს, მაგრამ იმავე დროს, თუ წინადადება მოკლებული იქნება რითმს, მაშინ ჩვენ დაწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მისი ღაზარაკი ვეროვან შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს თუნდაც, როგორც წინეთ ვსთქვით, ყველა დიკციის კანონები და წესები დატული იქონდეს.

არისტოტელი თავის „რიტორიკაში“ აი რასას სწერს: *Разсуждая о голосѣ можно установить, что онъ соразмѣряется съ каждой страстью, которую требуется изобразить — то сильной, то слабой, то средней, — смотря по тому, которое онъ въ состоянiи принять — то острой, то важной, то посредствующей, смотря по нѣкоторымъ ритмамъ, подходящимъ ко всякому данному сюжету, въ которыхъ различаются обыкновенно три отгѣнка: величiе, гармонiя и размѣръ*“ აქედან მკითხველი დაინახავს, რომ რითმი რაღაცა ზომიერება, არამედ რითმაში ისატება დიდობა, ჭარბობა და ზომიერებაც. და მართლაც, რითმი არის ღაზარაკის სული, რომელიც მდგომარეობის დაგვარად იცვლება და იმავე დროს სტეფლის თვით ღაზარაკის ხასიათს, მის მიმდინარეობას, ერთი სიტყვით აძლევს ისეთს ფერს, რომელშიაც თვითონ არის შეღებული.

საინტერესო ცნობას გვაძლევს აგრეთვე ფილოსოფოსი ზლატანი: *Движенiя музыкальнiя сродственны движенiямъ нашей души. Музы даровали намъ музыкальную гармонiю, чтобы доставить намъ возможность соразмѣрить соответственной и подчинить ея законамъ беспорядочныя движенiя нашей души, подобно тому, какъ они даровали намъ ритмъ для измѣненiя и уллучшенiя манеръ большинства людей, лишеныя размѣренности и граци,*“ აქედანაც აშკარად სჩანს რა დიდი მნიშვნელობა აქვს რითმს არამც თუ ღაზარაკისათვის, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობისათვის, მიხვარა-მოხვარისათვის.

ვალიკო — ია.

(გავრძელება იქნება.)

ხელოვნური პოეზია.

მ გ ო ს ა ნ ს.

მკოსანო, მესმის ეგ გულ-საკლავი შენი სიმღერა და აღეგებულს არ მასვენებს მეც გულის ძეგრი; მსურის შენსა ხმას შეუერთო მეცა სიმღერა, რომ გულ-ძეგნესავემ გამოვსატო მწარ ბედის წერა.

მესმის სმა ტკბილი, იგივე მწარე, გულის საკლავი ძაღლებს, მტანჯავს... მენატრება შავი საფლავი; არა მშორდება შავი ფიქრი, ბოროტი, ავი, — აწმყო ცხოვრება შეუბრალი და გულს-საკლავი.

ხან გამოსცემენ სიმნი უღერით ხმას მოსალხენად, ხან დამაფიქრად, აღმაშფოთრად და მოსაწვენად, ხან წარსულისა მოგონებით გულის სატკბილად, ხან ერთის წამით გასართობლად, გულის საღსენად.

გმარა-შესწვიტე! მოასვენე აწ ჩემი სმენა. გლოვის ზარით გულსა მსგებობა, არ ძაღმომს თმენა, ნუ დამადუმე, ვითა მუნჯი დამიბი ენა, ნუ მაწვევლინე უბედურსა მე ბედის წერა.

კენინა ნ. ორბელიანისა.

რა მომწონს შენი?

№ ს

რა მომწონს შენი? — კარგი ქაღობა, ეგ თავ-მდაბლობა, უცხო ზრდილობა; შენი სინაზე, შენი სიტურთვე, შენი კველური შესედულობა!



რა მომწონს შენი? — კეთილი გული, ეგ ურადველი, მტრედივით, სული; უორპირობა, ეგ ზირ-ძთქელობა; გრძობა უფასო, აწვევებულო!



რა მომწონს შენი? — ჭკუა დამკადარი, გამჭრინისობა, ქცევა დამკადარი... ეგ საუვარელი შენი ჭიკ-ჭიკი, თაფლზე, მაქარზე მეტად დამტკბარია!,,

X

მაშინს—მოშინსარ, გეტრეი, გიგალობ!
გვიცავ—შენს სახელს დმეტრე ვლოცულობ;
გულს, სულს, ცრემლს, გრძნობებს გუნდრუკად გიკმეკ!
მარქვი! გასხვავარ? გიყვარვარ? მწყალობ??

გ. თირელი.

დ ე დ ი-ჩ ე მ ი ს ნ ა ნ ა.

მე რომ გაუხნდი დედა ჩემს, სწეველიდა თავის ბედსაო,
სწეველიდა მწარედ, ქვეთინით ჩემი გაჩენის დღესაო,
სწეველიდა!... თან ნორჩს გულსედა მასსავდა ცხარე
ცრემლსაო,

ამ ცხარე ცრემლსა, გულ-მდუღრად, მოსძინდა ამგვარს
სმეპსაო:

„უშინგოვ! ნდობის თვალთა შექნარი ნათელს მხესაო,
არ იცი რა დღე მოგელის, უბედო დედას ქესაო!

როგორც რომ დედა ვერ ასცდა მშობელთა მწარე
სვედრსაო,

სიკვდილამდისინ ვერ ასცდა შენცა ტანჯვას და რძე-
სლსაო!

„რას რომ მოისვამ თავსედა სელს, იცნობ ქვეყანას
ჭრელსაო,

იცნობ მტერსა და მოყვარეს, უცნოს და მეცნიერსაო,
შენი მოყვარე შენს სამტრედ მტერს მოესვევა ეფლსაო,
შენი ტანჯვით და წამებით, მას გაუნათებს ბეჯლსაო!
ვისაც გაუღებ წრთელს გულსა, მოყვარის წილ ქმარებ
გველსაო.

გულს შხამს შთაგწურვენ, გრძნობათა მისცემენ ცეცხლსა
ცხელსაო,

და სისარულით, სარწარით, ზედ მოითბობენ სელსაო!“

და მდებრდა ამ გულსავდაეს სმებს თავის უსუსურს ქესაო,
მოსთქმიდა, მწარედ ზგლოვობდა ჩემსა მომავალს ბედსაო,
თან მსურვალეთა მიკრავდა თავის მუქუს და მეკრდასაო,
მთანი ამდევდნენ ზარით ბანს ამ მწარე გლოვის სმეპსაო.

აჰ, ამისდა სულუკვლა: გზას ვვადრ უქრეპ ბედსაო,
მას ქვას მესვრის, და სატრეფო ჩემს მტერს ვსვევა
ველსაო.

ზურაბ მონიძე.

თეატრის გვირა

ვისი ბრალია?

(მოთხრობა დესპოტულისა)

I

ოსას რომ მივედი მოწვეული სტუმრები
თითქმის სულ შეყრილიყვენ და ტანციობას აპი-
რობდნენ.

— ლილია მიხაილოვნა სადღა არის? ვკითხე
მის დედას.

— თაეის ოთახშია. მხლა აქ იყო და თავს
იტკიებდა. წადით გამოიყვანეთ, თქვენ დაგიჯერებთ.

თხოვნა აღარ გავამეორებინე და მაშინვე წა-
ვედი. მე თვითონ ძალიან მსურდა ჩემი კარგი
ლილიას ნახვა, ჩემი საყვარელი შეგირდისა, რომე-
ლსაც ამ უკანასკელ დროს იშვიათად ვხვდებოდი.
მთელი ხუთი წელიწადი ჩვენ დიდი მგებრები ვი-
ყავით, ლილია თითქმის ჩემ თვალ-წინ გაიზარდა.
ამ ხუთის წლის წინად ყოველ დღე ერთსა და იგი-
ვე დროს დავდიოდი მასთან, ვასწავლიდი და ვაძ-
ლევედი ახალ გაკვეთილებს და ვცდილობდი მალე
დამეღწია თავი თოთხმეტის წლის ქალისაგან, რომ-
მელიც ბიჭვად უარესი ცელქი იყო. მართაზად
ხუთის წლის შემდეგ ეს პაწია ცელქუნა გადაიქცა
ახალგაზდა ქალად და მერე ისაც-რა ქალად? ჩემს
თვალში ლილია მშვენიერი იყო, თუმცა ეს სიმ-
შვენიერე იმ სინოჩით, იმ ჯან მრთელობით არ
ჰფეთქდა, როგორც სოფლის ქალები. ამ მხრივ
მას ვერაფერ შენატრიდა. მაგრამ საკმარისი იყო
შეგვხვდნა მისი ლაყვარდოვან ფიქრით მოცული
თვალებისთვის, იმ ნათელ შუბლისათვის, ჩაცვიფ-
ნილ ლოყებისათვის და სახის მკრთალისათვის,
რომ აღვსილიყავ რაღაც გამოუთქმელის კრძალვით
წინაშე მის გონებრივ სილამაზისა. ბონებით და
გრძნობით ჰფეთქდნენ მისი ტურფა სახის მშვენიე-
რი ნაკუთნი, რომელშიაც გამოსჭვრეტდა, რო-
გორც სარკეში, იშვიათი ხასიათი ლილიასი.

ლილია, კუმეტკაზედ წამოწოლილი, შლიდა
ფრანციულს მხატვრობით ჟურნალს და თითქოს
ისე იყო გართული სურათების სინჯვით, რომ ჩე-
მი შესვლა ვერც კი შენიშნა.



— რა ლამაზია! გავიფიქრე უნებურად და საშინლად მეწყინა, რომ მე მისთვის შინაური კაცი ვიყავ, მაგრამ საჩქაროდ განვდეენე ეს ფიქრები. მომავლად, რომ ლილია ამ ცოტას ხანში სხვისა შეიქმნებოდა, რომ მას სხვა უყვარდა. ლილიას საქმრო ჰყავდა.

— რას მოგიწყენიათ? მკითხე მე და მის პირდაპირ სავარძელში ჩავჯექი. მაგრამ ჩემი კითხვა უადგილოა, ცხადია რისთვისაცა ხართ მოწყენილი. ჩქარა დაბრუნდება თქვენი საქმრო?

— ღღეს წერილი მივიღე. აი იქ სტოლზედ ძევს, აიღეთ. საქმეებმა დამაგვიანესო, იწერება.

— ზესმისთ? უთხარი მე და თან დავმღერე იმ ვალსს, რომლის ხმაც ზალიდვან მოასმოდა.

ლილიამ ოდნავ გაიღია.

— ჩემს გასართობად შემოხვედით?

— სწორედ. მაგრამ, საუბედუროდ, ვართობა არ ვიცი.

— ძალიან კარგად სჩადით, რომ არ იცით, მაგრამ მე ისეთ გუნებაზედა ვარ, თუნდა შეგეძლოთ კიდევ, მაინც ღღეს ჩემი გამხიარულება ძნელი იქნებოდა. გულზედ რაღაც შემომაწვა. ეს იყო ეხლა ისე უნუკვმოდ ვგრძნობდი ჩემს თავს... ძალიან მოხარული ვარ თქვენის ნახვისა. დიახ, ამისთანა წამებში მხოლოდ თქვენი ნახვა მსურს ხოლმე.

— დიდათ მოხარული ვარ, მხოლოდ მე გთხოვთ ამისთანა შემთხვევებში, რაც შეიძლოთ, იშვიათად ისურვეთ ხოლმე ჩემი ნახვა.

— ძარგით ერთი, თავი დაანებეთ მაგ კილოს. დიახ, ეხლა ბევრი საფიქრებელი, საყოყმანო და სადარდებელი მაქვს, რადგან უსაგნოდ სიცოცხლე ჩემთვის სიკვდილზედ უარესია.

— მაგაზედ რაღად ფიქროფთ? თქვენ უნდა ამბობდეთ მაგას—თქვენ, მაგისთანა გულ-დაჯერებული და მძლავრი ქალი.


— მე ყველა ჩინებულაია...

— ხომ გიყვარს თქვენი საქმრო?

— მიყვარს? რასაკვირველია, მიყვარს. მიყვარს გამოუთქმელად, განუსაზღვრელად. ეს გრძნობა სწყვეტს მთელს ჩემი სიცოცხლის ბედ-იღბალს. შევიძლებ-კი იმის გაბედნიერებას? მეც თითონ ვიქნები ისეთი ბედნიერი, როგორც მე მესმის ბედნიერება. მიყვარს-კი... მეკითხებით თქვენ... რამოდენიმე ხანია ის შეიქმნა ჩემს მეორე „მეთ“, ჩემს კერპათ, რომელსაც მზა ვარ ყოველივე ეუმ-

სხვერპლო. მასი შეხედულება, მისი სარწმუნოებად შეიქმნენ. მე ვგრძნობ, რომ ჩქარა ფიქრსაც-კი თავს დავანებებ, მისდამი რწმუნებამ ყოველივე შთანთქა და ისე დამიპყრო, რომ აღარც კი ვიცი: კარგი კი არის ესა? ბედნიერებაა? ის არის, რასაც ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სიყვარულს ვეძახით?

— თქვენ,—განაგრძო ლილიამ დიდის ხნის ფიქრის შემდეგ,—თქვენ ჩემთვის ყველაზედ უფრო დაახლოებული და საუკეთესო მეგობარი იყავით. მე ძმები არა მყვანან, თქვენში ვპოვე კეთილი და გონიერი ძმა. თითქმის თქვენს თვალ-წინ გავიზარდე, თქვენთან ერთად გადავიტანე გასაჭირი დრო ჩემის სიცოცხლისა და შევიქენ ის, რაც ეხლა ვარ. თქვენ რომ არა მყოლოდით, ხომ შეიძლებოდა ეს ასე არ მომხდარიყო. ამ ზნეობითი აღზრდისათვის ყველაზედ მეტად თქვენი მოვალე ვარ. ჩვენ ერთათ ბევრს ვკითხულობდით, ვლაპარაკობდით და ბევრს რასმე სულ სხვა ნაირად დავუწყეთ ყურება, მაგრამ ვანა ჩვენ გვიცხოვრნია? შეგვიძლიან კი ვიფიქროთ, ვითომ ცხოვრება ჩვენც შეგვეზო, რომ ჩვენც ვიგრძენით და გამოვიარეთ ცოტა-რამ მაინც ცხოვრების მზგავსი? იცით, ხან-და-ხან მე მგონია, რომ თქვენზედ უფრო გამოცდილი ვარ; მე როგორღაც ინსტინქტიურად ვგრძნობ, რომ ცხოვრებაზედ იმგვარი შეხედულების ქონა არ შეიძლება, როგორიც შეხედულება თქვენა გაქვსთ შედგენილი. ცხოვრება უფრო წამხდარია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ამ შემთხვევაში ქალები უფრო შორს გამჭრეტიანი ვართ და ბოროტს იქ ვხედავთ, სადაც კაცებს ექვათაც არ წარმოუდგებათ მისი არსებობა. ბევრი ვეძიეთ მე და თქვენ, ბევრიც ვიპოვეთ, მაგრამ სადა? წიგნებში. მათი აღარა მჯერა-რა, ცხოვრებას კი ისე არ ვიცნობ, როგორც ამ წამსა მინდა ვიცნობდე; რაღაც ბნელად მაქვს წარმოდგენილი, მაგრამ ამავე დროს მე თითონაც ვერ ვარ-ჩვე: კარგია თუ ავია. სწორედ რომ ამ უკანასკნელ დროს ავად ვარ ამოდენა კითხვებით გარემოცული. მერე ისიც არ ვიცი როგორ გადავსწყვიტო. მჭვი ექვზედ გეპარება თავში, მერე იმისთანა ექვები, რომლებზედაც არის დამოკიდებული მთელი შენი ბედ-იღბალი და მომავალი. ცხოვრება კი იქამდინ არ გიცდის სანამ მიადწეე მტკიცე „ჰო“ ან „არას.“ რომელიმე რომანის გასარჩევად შეიძლება სჯა ასეც და ისეც იქონიო. სიტყვით როგორც გინდა ისე გადასწყვეტთ ამ კითხვებს, მაგით არავის არა დააკლდება რა, არავის სიცოცხლე არ მოეწამლვის;



მაგრამ როდესაც სიცოცხლი გაძლევს კითხვებს და უნით თხოულობს პასუხს ეხლავ, ემ წამსვე?—მე ძნელია! რაც უნდა სთქვათ, ამ შემთხვევაში არა ვითარი ქალა, არა ვითარი რწმუნება არ გადურჩება უქლურებას.

— თქვენ მეტის მეტად ღრმად უკვირდებით, ლილია მიხაილოვანა. მასთანავე სრულად არ მესმის რათ უყურებთ ცხოვრებას უეჭველად ასეთი მგლოვიარე და არა ნათელი ფიქრებით? მგრეთი უკმაყოფილება თქვენისთანა ყმაწვილ ქალში არა ჩვეულებრივი მოვლენაა. ლიპსკი იმისთანა კაცია, რომ მასთან ერთად თამამად შეგიძლიანთ შესდგათ ფეხი ცხოვრებაში.

— ოჰ, რა კარგდ ლაპარაკობთ ყველანი, — სთქვა ლილიამ; რა ჩქარა გადასწყვეტთ ხოლმე ყოველ იჭენეულებას. თქვენ თავიღამ ბოლომდე ცარიელი სიტყვა ხართ; ქალი კი იშვიათია ასეთი. თქვენ ყველაფერი წინაღვე გადაწყვეტილი გაქვსთ, ყველას წინაღვე ხედავთ და ხსნით. თქვენ თქვენი ნების იმედი გაქვსთ და მით გინდათ სძლიოთ ყოველი გარემოება, მაგრამ განა ცოტანი გვინახვან იმისთანანი, რომელნიც ამავე გარემოებას გაუტეხნა, თუმცა ძალა მათაც არა ჰკლებიათ. ცხოვრება თავისი დაუსრულებელი, უთვალავი სხვა-და-სხვა შემთხვევით უბრალო რამ არის თქვენთვის.

პი ისიც, — განაგრძო ლილიამ—ეგრეთივეა, როგორც ყველა თქვენ, ვაჟ-კაცები; ის იტყვის ხოლმე: მე ასე მინდა და ასე იქნებაო. ამ ძალას მასში მე პატრისა ვცემ და მიყვარს მისი ამგვარი სიმხნევე, მაგრამ ხან და ხან კიდევ მამბრახებს. რამდენადაც კი შეგიძელ ცხოვრების დაკვირვება მე მგონია, რომ ცხოვრება კაცის ნებაზედ უძლიერესია.

შველა თქვენგანი სცხოვრებს, ფიქროფს და გრძობს ადრევე შედგენილ წესის დაგვარ და უკუ-დგომა შეუძლებლად მიგაჩნიათ. თქვენ არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა ნაირად შეუძლიან ხან-და-ხან ქალს სიყვარული და რამდენად შეუძლია ამ სიყვარულს ზედ გაველენა იქონიოს მახედი. არ ვიცი კანონია თუ შემთხვევითი მოვლენა, თუ შედეგი ჩვენში საზოგიდოების წყობისა ანუ აუტალებელი ბედის-წერა; მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ჯერ-ჯერობით თქვენ და მხოლოდ თქვენ, კაცებს, შეგიძლიანთ ჩვენი გამხნეება, და შეველა, რომ გავმაგრდეთ იმ სიმალეზედ, რომელსაც ჩვენ ხან და ხან ვახწევთ ხოლმე... მე იმ ვინწრო

პირად ბედნიერებას არ ვეძებ ცხოვრებაში, ლითაც სრულიად დაკმაყოფილებოდა სხვა ქალი. თქვენ ეს კარგათ იცით. მოიგონეთ ჩვენი ოცნებანი, ჩვენი იმედები, მოიგონეთ, რა გაბედვით ვუყურებდით ჩვენს მომავალს! მანა ეხლა ისლან? თქვენივე სიტყვით განესაჯოთ—განა თქვენ თითონ ბევრში არ მოსტყუდით? მართალია, ჩვენ ისევ ისა ვართ რაც ვიყავით; ერთნაირად გვახმნევენ იგივე აზრები, რომელნიც თქვენ შემაგონეთ ოდესმე თქვენი მხურვალე და წრფელის სიტყვის ძლიერებით, მაგრამ თქვენ თითონ გასინჯეთ, რა განსხვავებაა ჩვენში და რამდენიც ხანი გავა იმდენი ეს განსხვავება თან-და-თან იმატებს.—თქვენ თქვენი საგნის მოწვევისათვის ყოველისფერზე უარი ჰყავით. თქვენ სრულიად გაგიტაცათ თქვენმა ოცნებამ. თქვენ იტანჯებით, თქვენ საუკუნოდ განშორდით იმას, რასაც ხალხი ბედნიერებას უწოდებს. მანა ეს თქვენთვის ადვილია? არა. მე მინახვისხართ თქვენ საშინელს უბედურებაში, მინახვისხარ დაუძლიერებელი აუტანელს ტვირთ ქვეშ. თქვენ იბრძოდით მაინც და გქონდათ საშუალება კიდევ ბრძოლისა. შემდეგში უფრო მეტს ტანჯვას გამოივლით, ბევრს ძალას დაჰკარგავთ უნაყოფოდ, რომელიც სხვა დროს უფრო უკეთეს საქმეზედ შეგეძლოთ მოგეხმარათ.—მაგრამ თქვენ იმედი მაინც გიღვივისთ მომავალში, თქვენთვის შორს მოჩანს ის სასურველი ნათელი, რომელიც, ადრე თუ გვიან, თქვენ საგანთან მიგიყვანსთ, თუ ეგრეთი ღარჩით, როგორიც ეხლა ხართ და არ შეიცვალეთ.

— ქალები-კი რა მღვომარეობაში ვართ? რასაც თქვენ ჯაფით და ცდით მიალწევთ ხოლმე ჩვენთვის ოცნებად, უნაყოფო აზრად რჩება. ჩვენ და ჩვენს უძლიერებას ნუ დაადებთ ბრალს, გამტყუენთ ის თავხედი აუცილებელი ძალა, რომელსაც თვითვეული ჩვენგანი ვერას დააკლებს. ქალი რაც უნდა მძლავრი იყოს, გარს-მყოფი საზოგადოება აუძლიერებს მას; რაც უნდა თავისუფალი იყოს საზოგადოება თავის მონად გარდაქცევს მას. თქვენ კარგად იცით, რომ ეს ბედი მარტო ქალების ხვედრი არ არის, ჩვენზედ თავისუფალნიცა ხართ, ღონიერნიც, მაგრამ არც იმდენათ, როგორც თქვენ გვინათ. ბევრი რამ არის იმისთანა, რომლის გადაცილებას თქვენც ისე აკიკრძალვენ, როგორც ჩვენა. ხომ იყო იმისთანა დროც, როცა ის საქმე, რომელსაც ახლა თქვენ უძვირფასეს საქმეთა



სთვლით, მაშინ მხოლოდ აუხდენელი ოცნება იყო და რომლის არამც-თუ აღსრულება შეიძლებოდა, ხმა მაღლივ წარმოთქმაც საშიში იყო.“

სანამ ლილია ლაპარაკობდა მე გულმოდგინედ ვაკვირდებოდი მის ახალგაზდა, თითქმის ბავშვურ სახეს. მხედავდი რა რიგის სიმხნევით და გრძობით ელვარებდნენ მისი თვალები, რა რიგად ენთებოდა ლოყები მღელვარებისაგან და გულ-საკლავი ფიქრები არ მასვენებდნენ. როგორღაც არა მჯეროდა, რომ ლილია ბედნიერი შეიქმნებოდა. „აღრე დაბადებულხარ, საყვარელო ბავშვო, — გავიფიქრე მე. — შენი მოთხოვნა ილება მოთხოვნა ილებაა მომავლისა და ვაი იმას, ვინც მაგ მოთხოვნებით სხვაზედ აღრე გვესტუმრა ამ ქვეყნად!“

— ამიტომაც — განაგრძო მან — ვეძებთ ჩვენ შეველას, ჩვენ ვსაჭიროებთ იმისთანა ძალას, რომლის მფარველობის ქვეშ შეგვეძლოს აღსრულება ჩვენის სურვილისა. და რაც უფრო ძლიერია ეს სურვილი, რაც უფრო განუშორებელია იდეა, რომელმაც ჩვენ მთლად შეგვიპყრო, — მით უფრო ძვირფასი და საყვარელია ჩვენთვის ის კაცი, რომელშიაც იგი ძალა განხორციელებულია, რომელშიაც ჩვენ ვპოვებთ თანაგრძობას ჩვენის ლტოლვილებისადმი, ვისი სიცოცხლეს და რწმუნებაც ჩვენს საკუთარს რწმუნებას და სიცოცხლეს ეთანხმება. სიყვარული ყოველად შემძლებლად გვხდის, მაგრამ მასვე შეუძლიან დაგვლუპოს სამუდამოდ და მიგვალწევიან გონებითი დაცემამდე. და თუ მოსტყუედი მასში, რაც იდეალად მიგაჩნდა, რაც გრწამდა ამ ქვეყნად ყველაზედ მეტად, რასაც აღმერთებდი, — მაშინ შენთვის ყოველივე დაკარგულია და მასთან თვით შენც იღუპები. იშვიათად გამოვა იმისთანა ქალი, რომელმაც ხელ-მეორედ დაუწყოს ცხოვრებაში ძებნა იმავე იდეალს მაშინ, როდესაც მას გული უკვე გაუტყდა, როდესაც მან ვერ პპოვა იდეალი იმ კაცში, ვისაც შესწირა ყოველივე, ვისთვისაც დაჰკარგა საკუთარი აღტაცება, გულის-წაღილი ყოველი გრძობა და ყოველი ძალა. მაშინ მას ეკარგება რწმუნება თავისი იდეალის აღსრულებისა, რწმუნება ხალხისა და სიყვარულისა. ყოველი ჩვენი ძალა თქვენზეა დამოკიდებული. თქვენ თუ ძლიერნი იქმნებით, კეთილნი, მაშინ ჩვენც ისეთნი შევიქმნებით, როგორნიც თქვენა გსურსთ, რომ ვიყვნეთ. ღაანებთ თავი ლაპარაკს ქალების განათლებაზედ: იგი უსარგებლოა იქამდინ, ვიდრე სა-

ზოგადლებაში არ აღიძვრის ლაპარაკი და წადილი კაცების განათლებაზედ.

ელენე.

(დასასრული იქნება)

თეატრი და მუსიკა.

ამას წინათ ცეტრში ერთს ახალ-გაზდა და ნიჭიერს არტისტას სტუკნით სწორეთ სიკვდილამდე მიაღწევენ. ეს არტისტა ავად იყო მაგრამ რაკი ეშინოდა, რომ მისი როლი მის მეტოქისათვის არ გადაეცათ ძალა დაატანა თავს და გადასწყვიტა ამ როლის აღსრულება. ამ ქალის მეტოქის მეგობრებმა და თანაკანის მტკემლებმა იმდენი უსტუნიეს საცოდავს არტისტა — ქალს, რომსი რცხვილისა, წყენისა და ჭაჭრისაგან გულ-მოკლეუდა ქალმა ჭკუშსაგებადის ძლივს მიაღწია, გასდა ავად ტუნიის ანთებით და მოკვდა.

რომ უზომო თავ მოყვარება ყველა ავტორს არა სჭირს ზნედ — ეს ამდღეებში ერთმა საუკეთესო დრამატულმა მწერალმა, ზალო ტერარბიმ, ნათლად დაამტკიცა. მისი ახალი პიესა „Signor Lorenzo“ არ მოეწონათ. ტერარბიმ, თეატრიდამ გამოვიდა თუ არა, შეძგბი ტელეგრამმა გაუგზავნა გაზეთებს: „Signor Lorenzo“-ს ზრლოლი მოეწონდა, რამდენჯერმე გამომიძსეს, მაგრამ ზრლოლიდამ დასასრულამდე ხალხში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, პიესამ ფიასკონას.

ქნი ყიუდივი ამ უამად მექსიკაში იმეოფება, სადაც სრულის თანაგრძობითა ჭყავთ მიღებული. ამას წინეთ ერთმა წარმოდგენამ მას 25000 მანეთი შესძინა. თუ ხელის მოწერა 200 ათას მანეთადე მიაღწევს, მექსიკიადამ გაგანაში ჩავა და 17 წარმოდგენას გამოართავს.

ბეტერბურდის გაზეთები გვატეობინებენ, რომ გუცოკოვის ცნობილი ტრადეია „ურთელ-აკოსტა“ ქბნს სერკოვისს ოპერად გარდაუკეთებია და ეს სასკელივე უწოდებია. ოპერას ზირველად მოსკოვის საიმპერატრო სცენაზედ დასდგამენ.



სალხურის ზოგზია

(შეკრებილი სოსიოსაგან.)

შენ ჩემო, გუთნის დედაო!
 ხარო გიბია მტრუდაო;
 მესრეებს გამოართმევედი,
 შეასტებოდი შედაო;
 სიძღერა კარგი გცოდნია,
 დასძახდი შედი-შედაო.

ვაი ჩემო, საფეიქრო,
 მასრაქო და მასრა-მაქო;
 იმის ოჯახსი დაიქცეს,
 ვინც ჰირველად აქო!

სოგი-ერთმა კაცმა იცის,—
 კამდებსა და კაცორდებსა,
 რაგინდ საქმე უხდებოდეს,
 საქმე აღარ აგონდებსა.

წუთი სოფელმა დღე ჩემი
 მიმწარე დაძალევეინა,
 არც მამკლა, არც დამარჩინა,
 არც სული დაძალევეინა.

წავიდა აღარ მოვიდა
 ის მეწიწილე მერაო,
 ერთი ისეთი წაიღო,
 თავისი გულის ჯერაო.

მეელი გამოცანები

(შეკრებილი თ—დი რაფ. ერისთავისაგან)

- ა. კაცი ენასა სთესვიდა ბრძენი და გულის სმიერი,
 გუთანი ჰქონდა ჩალისა და ხარი მისი ძლიერი,
 გვერთ ედვა თოვლის ნამქერი და შავი გუზრის მიერი:
 შით უნდა ღვთისა ესვიდეს ყოველი ადამიერი.
- ბ. მე ერთი რამე მინახავს თლილი წმინდისა ქვისანი,
 მას გარემო მოსილი ვერცხლისა, ანუ რქისანი,
 იგი ბერთათვის სასმარი, არ ქალთა, არცა ერმისანი,
 ამას სულდგმულნი ვერა სცნობს, მექერე, ვერცა მისანი.

სალხური გამოცანები

(შეკრებილი სოსიოსაგან.)

- ა. ტეეში დავიბადე,
 ტეეში გავიზარდე,
 შინ რომ მოველი
 „კუკუ!“ დავიძახე.
- ბ. შავი შოდის შავითა,
 შავი ბრავა-ბრუკითა,
 შავსა თვალი ავუსვიე,
 შავი აბრაშუკითა.
- გ. დედასა შვილი მოვსტაცე,
 სხვას მივაბარე ეულსა,
 შავკარი შევაკოჭოჭე,
 თავი მაუგავს სნეულსა.
- დ. აკრეფით სულ განაბული
 სასლთა შევიდა მზარავი,
 სასლი შიკ გამერა სარკმელში,
 ქურდი შიკ დარჩა მზარავი.

- ე. ორი ფრინველი სჯდებიან, დაბადებიდგან ჩემთანა, ამ წამსვე გაფრინდებიან, ამ წამსვე მოფრინდებიან, სხვისას გასინჯვენ ჯავარსა, თავისას ვერ მისვდებიან.
- ვ. სვეთა მთა მამითოვა დაბლა ბარი მომიწათსა შორს მიმავალი სტუმარი ერთობ ახლოს დამისახლა. ორი ოთხათ გადახეკვა, მუხაც სულ მთლად დამითხლიშა.

არითმეტიკული გამოცანები

ას მანეთად უნდა იყიდოთ ასი თავი საქონელი,—ხარები, ძროხები და ხბოები. ხარები ღირან თვითო თუმნათ, ძროხები ხუთ-ხუთ მანეთად და ხბოები ნახევარ-ნახევარ მანეთად. ძიოთხვა: რამდენი იქნება ხარი, ძროხა და ხბო?—

გამოცანა—ფოკუსი.

სტოლზედ დადეთ სამი ქული, ყოველ ქულის ქვეშ თვითო შაქარ-ყინული ჩადევით. შემდეგ ეცადეთ, რომ სამივე შაქარ-ყინული ერთს ქუდს ქვეშ იყოს, ხოლო ნება არა გაქვთ, რომ ერთს ქუდს ქვეშ გადააწყოთ ყველა შაქარ-ყინულები. როგორ უნდა მოხერხდეს ეს?.

შაქარ თაფლაჲე.

ახსნა არითმეტიკული გამოცანებისა.

(იხილე „თეატრი“ № 25.)

I. მებადეს ჰქონდა კალათაში 2519 ვაშლი. ამ გამოცანის სწორი ახსნა მოგვივიდა კნეიჟანა ანასტასია რაფიელის ასული მრისთავისაგან. შესაძლებელია აგრეთვე მებადეს ჰქონიყო 5039 ვაშლი, ხოლო ამ შემთხვევაში 2519 უფრო სწორეა.

II. მეორე გამოცანის ახსნა არავისაგან არ მოგვსვლია, ამიტომ თვითონ რედაქცია ხსნის.

9+8+7+6+5+4+3+2+1=45

1+2+3+4+5+6+7+8+9=45

8+6+4+1+9+7+5+3+2=45

მამორიცხვა უნდა დაიწყოთ ისე როგორც მიღებულია არითმეტიკაში, ესე იგი მარჯვნიდამ მარცხნისაკენ,—ამ გვარად 45—45=45.

ახსნა ხალხური გამოცანებისა.

(იხილე „თეატრი“ № 26)

- ა.— ძალია, ბ.—ძოვზი, გ.—მრზიმო.
- დ.—ცეცხლი, ე.—არაყი, ვ.—ჭიქა.

კვირიდან კვირამდე

ჩვენი კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ გელათში უნახავთ დარბენდის რკინის კარები, რომელიც დავით აღმაშენებელმა გადმოიჭანა დარბენტიდამ და დღეს გელათის მონასტერში ინახება, სარდაფ ალაგას არის შეპშული და უბრალოდ უნგი სჭამს ამ ღირს სასოვარ ნაშთსაო. ურიგო არ იქნება, რომ წმინდა მოხარული ზეთი წაესვას, რომელიც არც სიმეფლის სახეს დაუკარგავს და აღარც უნგი შესჭამსო, ბევრი-ბევრი სულ—სამი ან ოთხი აბაზის ზეთი მოუნდესო.—



ზ.ზ. „Новое Обозрение“ გვატყობინებს, რომ სამს ივლისს ღამით, 491 ვერსზე, სტ. ღალამეტლსა და ზერანს შორის საქონლის მატ. პოეზი № 20, ვაგონის ღერძის გატეხის გამო ლიანდაგიდამ გადმოსულა, ხუთი საქონლით საესე ვაგონი ლუკმა-ლუკმათ ქცეულა, და ერთი სტრელოჩნიკი მატარებლიდამ გადმოვარდნილა და ცოტათ დაჭრილა. სხვა უბედურება არა მომხდარა-რა.

ნ ბ რ მ კ ი

კითხვა და პასუხები

(პასუხად თქვენი ხელის მომწერს № 171—შვილს“)

ბ. რედაქტორო!

თქვენის გახეთის № 26-ში ერთმა ხელის მომწერთანმა („№ 171-შვილი“) მიმართა ეკელა ქართულ არტისტებს შემდეგი სიტყვებით: მე მსურს გავიგო „რასა ჭგომნობს არტისტი თამაშობის დროსა“ და ამასე ითხოვს პასუხს. ამასთანვე ამბობს: „ზირადათ მე ბეკრს დავკითხებოვარ, ბეკრიც წამიკითხავს ამ საგანსე, მაგრამ ჯეროვანი პასუხი არა მღირსებია.“

ეს წერილი თქვენდამი, ბ. რედაქტორო, მე ესლა წავიკითხე და ესლავე „შემდეგისამებრ“ პასუხს ვაძლევ, რადგანაც ბ. № 171-შვილი ამბობს იქვე: „რაც უფრო ძალე მივიღებ ამ საგანსე პასუხს, მით უკეთესია.“

გამიგია, რომ ერთ ვიღაც მომღერალს არტისტ-ქალს (მგონია ნილსონს) ჭკითხეს: რასა ჭგომნობ წარმოდგენის დროსა და იმან უპასუხა. მე ვგომნობ, რომ ადელინა ფათი ჩემსე მეტ ჯამაგირს იღებსო. ქართული დასის არტისტებს რომ მიმართოთ ამავე კითხვით, ზოგისგან მიიღებთ პასუხად: მე ვგომნობ, რომ უნდა გვედო ჩემი როლების აღმასრულებელი სხვა არავინ გამოჩნდეს, თორემ ჩემი ასირებული ქცევის გამო მე ზურგს შემომამტკევენ და ის დაიჭერს ჩემს ადგილსაო. ზოგი გეტყვით: მე ვგომნობ ღტოლვილებას იმისთანა როლების აღსრულებისას რომელშიაც შავ-თვალ-წარბა და

ღამაში ვეჩვენო ზოგი ერთებს... იქნება იმათივე... ვინმე იქნას, რომელსაც თვალები გადაუბრინო. უფაშევი გადაუბრინო, რომ მოვეწინო და შემდეგ იმის სახლში „გოტკნესტი-ს“ ადგილი დავიჭიროვო... და ზოგი რას იტყვის და ზოგი რას...

მე თითონ არტისტი არა ვარ, მაგრამ ასე მიყვარს სცენა, ასე ახლო ვიცი ჩვენი თეატრის არტისტებს — იმათ ვისაც ბ. № 171-შვილი ეკითხება, რომ შემიძლიან პასუხი, ვიმტრებ, „შემდეგისამებრ“ მეც მიუგო.

ყოველ სცენაზე არიან ნიჭიერნიც და უნიჭიერიც. ყოველს სცენას ჭყავს ისეთი არტისტები, რომელთაც ესმით როგორც თავისი მოვალეობა, აგრეთვე იციან გამოცდილობით ის მდგომარეობა, რაშიც უნდა იყვნენ ისინი თამაშობის დროს; ჭყავს კიდევ ისეთნიც, რომელნიც მსოფლად არტისტობას ჩემულბენ და სცენაზე ისეთივე არიან, როგორც თავის სახლში და, თუ თამაშობენ, — თამაშობენ ჯამაგირის პატივის ტემისათვის.

ქართულ სცენას ჭყავს ნამდვილი ნიჭიერნიც და ცრუ, უნიჭო არტისტებიც. როდესაც ბ. ვიფიანი არდგენს რომელსამე როლს მაგ. დენერლისას, თუ რიგიანად თვალი ადევნოთ, დარწმუნდებით, რომ ის არის მაშინ ჩამკრალი იმ დენერლის ქერქში: სუნთქავს იმის სუნთქვით, ფიჭობს იმის ფიჭვით, ასე რომ სანამ თამაშობს იას ავიწყდება თავისი თავი და გარდაქცეულია იმათ, ვისაც არდგენს. მაშინ, უკუბ რომ ჭკითხო: ვინა სარ?... შეიძლება გიპასუხოს: გენერალი, გრაფი, ფილასოფოსი და სხვა. ბ-ნი № კი ამ კითხვაზე სიცილით გეტყვით: ვერ მინდობს! მე № — ვარო.

ჩემის აზრით არტისტი უნდა იეიწყებდეს თავს, უნდა ჭგომნობდეს იმას, რასაც ჭგომნობს აღნიშნულ დროს ის პირი, ვისაც იგი არდგენს. ოტოლო დაწერილია ბურბუკის დროს, შექსპირი თითქმის თაყვანსა სცემდა იმის ნიჭს, — მეგობარს ეძსოდა და ამ პიესას რომ სწერდა, კუბნებოდა: შენის მეტი ვერავინ ითამაშებსო. მართლაც პირველ თამაშობაზე ბურბუკი ისე „შევიდა როლში“, რომ თუ ფარდა ადრე არ ჩამოეშავთ, შეიძლებოდა დესდემოდა დაედრო. აღბად ეს არტისტი ძალიან შესანიშნავი იყო, აღმათ ესმოდა სცენა და ის მდგომარეობა — რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს — რასაც უნდა ჭგომნობდეს



არტისტი წარმოდგენის დროს, რომ გახდა ამისთანა მწერლის უუაღლები ღირსი, როგორც იყო უკვდავი შექსპირი. მეორე ამაზე არა ნაკლები ნიჭით განთქმული არტისტი ოღრივი იქამდის ივიწყებდა თავის თავს, რომ თამაშობის დროს დესდემონა დასახროს სცენაზე და შემდეგაც მასთან მოთამაშენი იმუღებულნი იყვნენ რვინის სალტი, რგოლები გაეკეთებინათ უელზე, რომ სიკვდილს გადაჩინებდნენ...

ეს ფაქტები იმდენიან ვასუსს თქვენ კითხვაზე ბ-ნი № 171 — შვილი.

აღაგ—აღაგ თავის დატყობა რამდენად კარგია და დასაფასებელია, ამაზედ არას ვამბობ, რადგანაც ძალიან გაგარძელებოდა ეს წერილი.

P. S. სასურველია, რომ ამ სავანის შესახებ ბ-ნმა გ. უიფიანმა, როგორც გამოცდილმა და ნიჭიერმა არტისტმა, თქვას რამე და განმარტოს ეს ფრიად საინტერესო კითხვა.

ა. ნებერიძე.

წერილი რედაქციისადმი.

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულს გაზეთში ამოვიკითხე ბ-ნი ცხვედიანის სურვილი: იგი თხოულობს შედარებებს ჩვენ შუა სადაო გამოსამიებლად და შემდეგ მტყუანი ზიარის დანაშაულობის გამოქვეყნებას. აწ მე გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენსვე პატივცემულს გაზეთში, რომ მე ჩემის მსრივ სრულიად თანხმად ვარ მის წინადადებაზედ და ჩემის მსრივ ვირჩევ სათავად-აზნაურო ბანკის პუბლიკატის ბ-ნს დ. ფავლენოვს. უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნს ფავლენოვს და მომავლის ბ-ნის ცხვედიანის მიერ აღმორჩიულს ზიარს, რაც შეიძლება ადგილობრივ საქმის გამოძიება დააშურონ, რადგან შესაძლებელია ამისთვის საჭირო ზიარნი შემდეგ ვერ დაესწრნენ.

მიიღეთ და სსვა..

ლ. გულისაშვილი.

რამე-რამე

მრთხელ ფილოსოფოსს ზენონს უთხრეს:

— ფილოსოფოსს არ შეშვენის სიყვარული ქალისადმიო.

— ეს რომ მართალი იყოს, მაშინ რაღა ეშველებოდათ მშვენსებს ქალებსო, აბა, წარმოიდგინეთ, ყველა კეკლუცი და ტურფა ქალები მართო სულელებს დარჩებოდათო! მიუგო ზენონმა.

მომრიგებელ მოსამართლესთან ირჩევა საქმე, რომლითაც კინტოს ნივთების პარვა ბრალდება.

— ღმნაშავეთა სცნობთ თავს ამ ნივთების მოპარვაში თუ არა?

— მა, სული როგორ დავსწვა—მართალია, ჩემი მოპარულია. მოსამართლე განაჩენის წერას შეუდგა და ჯერ სამიოდ სიტყვაც არ დაეწერა, რომ კინტომ შეაჩერა:

— ბ. სულია, დიდათა გთხოვთ ჩემი საქმე დღეს არ გადასწყვიტოთ და გადადოთ, რადგან ჩემი ადვოკატი არ მოვიდა.

— რაღა ადვოკატი გინდათ, აკი ადვიარეთ თქვენი დანაშაული?!

— მე მართალია, მაგრამ ძან გულით მინდა გავიგო თუჩემი ადვოკატი რამდენ ტყუილს იტყვის და ან რამდენ სტატიებს ააფრენს ჩემს გასამართლებლად.

გიჟ-მოსე.

მრთხელ აკტიორი ღუფერინი ძლიერ დაბლა ამბობდა თავის როლს. მრთმა მაყურებელმა რაიოკილამ გადმოსძახა: „მალღა ილაპარაკეო.“ „შენ კიდევ დაბლა იყვირეო,“ მიუგო ღუფერინმა.



საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საფორმაციო
საბჭო

ჭკუის საღარიბო

ქვეყანას შურს კერძო კაცის ბედნიერება, ამიტომ, როგორც ძვირფასი რამ საუნჯე ისე შეინახე შენი ბედნიერება.

(შილლერი)

— ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს ატირებს, ზოგს აცინებს.

(ილია)

— პრასოდეს არ უნდა სთქვა: „პრასოდეს“.

(შექსპირი)

— წრფელი უნდა იყოს სული, რომ მიიზიდოს სიყვარული და გული წმინდა, რომ ის იტვირტოს.

(აკაკი)

— არც მზე მუდმივ გვინათებს, არც ბედი მუდმივ გვიღიმიას.

(ნეკრასოვი)

— იგი არ არის კაცი, რომელიც თავის ნებას კანონზედ მალდა აყენებს.

(პეტრ. ჟენტ-ვარტ.)

— ზრძნობა ზომიერებისა იბადება გონიერებით.

(ტენი)

— იფიქრეთ როგორც გინდოდეთ, თუნდა ნამდვილადც არა, ხალხი იფიქრეთ თვით!

(ლესსინგი)

— პათიოსანს ღარიბს რით სჯობს გამდიდრებული იუდა!

(აკაკი)

— იმედი, როგორც მშობელი დედა, კაცს ასაზრდოვებს.

(შილლერი)

— ნუ ღრტყინავ, იგი ღარიბი როდია, ვისაც დღიური საზრდო მოეპოვება!

(გორაციო)

— ზოგი გულის ტკივილს იმით აჩენს, რომ მოყვარეს ცუდაც უქებს და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნება.

(ილია)

— ხშირად ხუმრობა უფრო ადვილად და უკეთ სწყვეტს სიძნელეს, ვიდრე ღრმა ჭკუა.

გორაციო.

„თეატრის“ ფოსტა

შეტყობთ, ბ-ნს მოსე კალანდარიშვილს.

თქვენი წერილი მივიღეთ და თხოვნაც უკვე აღსრულებულია, ხალხი უნდა მოგახსენოთ, რომ თეობით ხელის მოწერა არ შეიძლება. პირველი ივლისიდან პირველს იანვრამდე „თეატრი“ ღირს 3 მან. დიდი მადლობელი ვიქნებოდით, რომ მანდაურს ამბებს შეგვატყობინებდეთ ხალხში...

შარიუი, ბ-ნს ზალიკო ყიფიასს.

თქვენი წერილი მივიღეთ, აი პასუხიც. გაზეთი „თეატრი“ პარიუში ბ-ნს ვიზირიშვილის სახელზედ მისდით ქართველ უმაწვილ-კაცობას. ორი №1-ის გზავნა ერთს და იგივე ადგილში ჩვენი ღარიბი რედაქციისათვის სამძიოა. კარგი იქნება, რომ შეგვატყობინებდეთ მანდ არის ბ-ნი ვიზირიშვილი თუ სადმე სხვა ადგილს, თუ იგი პარიუში არ არის, ვის მისდის ენლა გაზეთი? დიდათ დაგვაულებთ, რომ მანდაურს ამბებს შეგვატყობინებდეთ ხალხში, განსაკუთრებით სასცენო და სხვა ხელოვნებათა შესახებ.


რედაქტორ-ზამომცემლის მაგიერ ვ. გუნია.

ვიქტორ-კუზო

კლდე ბე

თარგმანი ზანჯისა.

ფასი 15 კაპ.



გ ა ნ ც ხ ა ღ მ გ ა ნ ი

„თეატრი“

საყოველ-კვირად ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

კამოდის კვირობით. იბეჭდება—მოთხრობები, რომანები, ზიესები, ლექსები ხალხური და ხელოვნურიც, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ჟელიტონები, გამოცანები, იგავები და სხვა. წლიური ფასი გაზეთი „თეატრისა“ 5 მანეთი, ნახევარი წლის ფასი 3 მანეთი

ნახევარი წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 1 ივლისამდე და ჰირველ ივლისიდან 1 იანვრამდე. ამიტომ ვინაც ჭსურს ხელის მოწერა იმათ შეუძლიანთ ამ თავითვე შემოიტანონ 3 მანეთი იანვრის 1887 წლამდე. ცალკე ნომრები „თეატრისა“ ღირს 15 კაპ. ისეიდება თბილისში 1) თვითონ რედაქციის კანტორაში არწრუნისეულ ქარვასლაში, 2) ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში 3) გოლოვინის ჰროსპეკტსედ მაღაზია „ივერიაში,“ 4) ხიდის ეურთან ალასანოვის ჰაპროსის მაღაზიაში და 5) ქუთაისში მმ. ჭილაძესთან.

სტამბა და წიგნის მაღაზია
გ. ჩ. ჩარკვიანისა
თბილის, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ზუბალოვის სახლი.
იღებს ყოველ-გვარ სასტამბო საქ.
სტამბა და წიგნის მაღაზია

ამ დღეებში ჩამოვა და
„ტრამპის“
როტონდაში გამართავს წარმოდგენებს
მთელს ევროპაში განთქმული არტი-
სტი—ეკვილებისტი. ბ—ნი ჩიშარი,
ცოლ-შვილით. „ტრამპის“ ბალის გამ-
გებელი იოსებ ღავითის-ძე ბაქრაძე.
(1—1)